ოქმი #3

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის 25 იანვრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), გ. ბერიკელაშვილი, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, ხ. ინასარიძე, დ. კაპანაძე, ი. კიღურაძე, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 18 წევრი).

დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევა.

მოისმინეს: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ დირექტორის კანდიდატურის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულია ერთი კანდიდატი: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო ფარცვანია. ნ. ფარცვანია აკმაყოფილებს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის ოქმი # 8-ით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს.

მოისმინეს: დირექტორობის კანდიდატის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა თავისი სამოქმედო პროგრამა.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17, წინააღმდეგი - 1.

დაადგინეს:

1) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურად 5 წლის ვადით შერჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო ფარცვანია.
2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა ნინო ფარცვანია დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი — ო. ჯოხაძე